# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ (ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., [illegible] 10 კ. [illegible] 4 მ. 2 [illegible] 5 მან.

რედაქცია და კანტორა [illegible] ქ. მიქელაძის სახლებში.

№ 465 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 465


ეროვნული ბიბლიოთეკა


კვირას 29 ოქტომბერს სფირჩხის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი ბრძოლის ველზედ მოკლულის როტმისტრის თავადის

**მიხეილ დიმიტრის ძის მიქელაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები თავადი დიმიტრი სიმონის ძე მიქელაძე, კნეინა ირინე კონსტანტინეს ასული მიქელაძისა შვილებით. პანაშვიდი დაიწყება თორმეტის ნახევარზე.

ქუთაისის **პირველი** უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ

**პედაგოგიურს კურსებზე,**

ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებული იქნებიან აგრეთვე **ქალებიც,** რომლებსაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. ვინც ამ კურსებს დაასრულებს მიეცემათ **მოწმობა** სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები ორ წლიანია. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და საჭირო საბუთები თვითონ უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათზე.

**დაიბეჭდა** ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „**მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო**“ პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“ და ბ. კ. ციფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ერთად უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერს და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

**ექიმი** ი. **ჩარექიშვილი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი: ლვოვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე

ბუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან **დილის** 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

[illegible]-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჭილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ

**გაზ. „სამშობლოს“ კანტორა**

**აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ,** რომ ვისაც ამ წლის ბოლომდე სრულიათ არა აქვს ხვედრი-ფული შემოტანილი 1 ნოემბრიდან აუცილებლათ შეუწყდებათ გაზეთის გზავნა.

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 20 ოქტომბრიდან ახალი პროგრამა

**შურის მიების ცეცხლი**

**ნადირთა შორის**

დრამა სამ დიდ ნაწილად, ცნობილ მსახიობთა—ლიდია კუარანტისა და მარიო უზანიას მონაწ.

მიმდინარე ამბები. **პატე ჟურნალი** მიმდინარე ამბები.

**ყალბი საჩუქარი**

კომედია 2 ნაწილად მარსელ ლევეკის მონაწ.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 24 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება:

**კაცოგრიოზის გსკერნი**

დრამა 5 ნაწილად. შელესტინასა, პოლონსკისა და სიტნიკოვის მონაწილეობით.

ელექტრო „**ამპირ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 20 ოქტომბრიდან ახალი ორიგინალური თავისებური სილამაზის მქონე სურათი.

**„მოდგმის ზრალია“**

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილად ბოშათა ცხოვრებიდან ბ-ნ ტერეკის მონაწილეობით.

მიმდინარე ამბები. **პატე ჟურნალი** მიმდინარე ამბები.

**ბრძოლის ველიდან მოსული ნოგათი.**

მხიარული კომედია პრენსის მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 24 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება:

1 სერია **მიმინოს გული** დრამა ოთხ ნაწილად ლისენკოსა, კარაბანოვასა, რიმსკისა, პანოვისა და ბაკშეევის მონაწ.

**განცხადება.**

1 ოქტომბრიდან გაიხსნა — **ჭრა-კერვის კურსები** კატო ალიხანაშვილისა.

კურსი არის ერთ წლიანი, მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ შესაფერ ატესტატს სახელმწიფო უფლებით. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერა დადიანის ქუჩაზე, პატარიძის სახლში ალიხანაშვილთან.


# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 19 ოქტომბერი. ბრზეჟანის სამხრეთით მიჩიშჩუვისა, ლიპნიცისა და დოლნაიას მიდამოებში და დ. სვისტოლნიკის აღმოსავლეთით მედგარი ბრძოლები სწარმოებს. მიჩიშჩუკის ტყის მიდამოებში მტერმა მძიმე არტილერიის უძლიერესი ცეცხლი აგვიტეხა და შემდეგ ჩვენს წინააღმდეგ საიერიშოდ გამოგზავნა დიდი ჯარი, რომელიც რიცხვით ჩვენ ჯარს აღემატებოდა; მიუხედავად მედგარი ჩვენი წინააღმდეგობისა, ტყის სამხრეთ ნაპირისაკენ დაგვახევინეს. ლიპიცასა, დოლნაიასა და სვისტელნიკთან კი მტრის იერიშები მოვიგერიეთ და მტერი დიდად დავაზარალეთ. ტყიან კარპატებში ქ. ქნევიდან სამხრეთით 8 ვერსის მანძილზე იერიშების მოტანა სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

### კავკასიის ასპარეზი.

თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** 18 ოქტომბერი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. ღამის განმავლობაში გარდა საარტილერიო ბრძოლისა, რომელიც დროგამოშვებით ასტყდებოდა ხოლმე, ასპარეზზე არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** 18 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი. დღეს შედარებით, მშვიდად ჩაიარა; მხოლოდ საიმის მიდამოებში სენტპერვაასტის ტყესთან საკმაოდ ძლიერი საარტილერიო ბრძოლები მოხდა.

**ჰავრი.** 18 ოქტომბერი. ბელგეთის ცნობა. ჩვენ ბრძოლის პირზე ზარბაზნების სუსტი სროლაა.

**პარიზი.** 19 ოქტომბერი. შუადღის ოფიციალი. სომმას ჩრდილოეთით, ლეევეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ფრანგებმა კვლავ წინ წაიწიეს. დღეს დილით საისანვილზე გერმანელებმა ჩრდილოეთიდან იერიში მოიტანეს მოიერიშენი სროლით თავის ადგილებშივე დავაბრუნეთ და 70 კაცი ტყვეთ წავართვით. მაასის მარჯვენა ნაპირზე ღამემ მშვიდად ჩაიარა. ვოგეზებში ალკირხენის სამხრეთ დასავლეთით ლარგიცეგზე გერმანელებმა იერიშის მოტანა სცადეს, მაგრამ ჩვენ სროლით შევხვდით და ამიტომ ვერა გააწყეს რა. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**ლონდონი.** 19 ოქტომბერი. ბრიტანიის მთავარ ბინის ცნობა საფრანგეთიდან. 18 ოქტომბერს ჰოჰენცოლერნის რედუტთან და ლაბარეს არხზე ინგლისელებმა გერმანელებს ზარბაზნები დაუშინეს. ანკრის ახლო მახლო, მის სამხრეთით, ეშიუტერნთან ინგლისელების პოზიციებს გერმანელებმა მძლავრად დაუშინეს. ამას გარდა არაფერი საყურადღებო არ მომხდარა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი** 19 ოქტომბერი. გუშინ საღამოთი სუგანას ველზე, ვანოიჩის ველის ზემო ნაწილში იულის ალპებზე მოწინააღმდეგის არტილერიის მოქმედება გაძლიერდა. ჩვენ მხნედ ვუპასუხებდით. ჩვენ მტრის ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ, ერთი მფრინავი მოვკალით, მეორე დავატყვევეთ.

### რუმინიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 19 ოქტომბერი. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისგან. ტრანსილვანიის საზღვრებზე მოწინააღმდეგემ მდ. სლეტის ველზე სოფ რანოვიცა და ტიტეში დაიპყრო და რუმინელები რამდენადმე სამხრეთით უკან დასწია. უკანასკნელები ამ სოფლების სამხრეთით მაგრდებიან. დობრუჯის ბრძოლის პირზე ორივე მხრით მხოლოდ დაზვერვა სწარმოებს.

### მაკედონიის ასპარეზი.

**პარიზი.** 19 ოქტომბერი. სტრუმას მარცხენა ნაპირზე ინგლისელებმა ბულგარელებს შეუტიეს და ძალიან დაამარცხეს. ინგლისელებმა აიღეს სოფ. ბარაკლეჯუმა, რომელსაც ბულგარელები თავგამოდებით იცავდნენ და 315 კაცი ტყვედ წამოიყვანეს დოირანის ტბასთან და ვასდორზე დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა ხდება წრნასთან სერბიელებმა გერმანელ-ბულგართა კონტრიერიშები მოიგერიეს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანიის ოფიციალურ ცხრილების მიხედვით დაჭრილ-დახოცილთა შესახებ ინგლისის გაზეთებს გამოუანგარიშებიათ, თუ რამოდენა უნდა იყოს გერმანელთა ზარალი 2 წლის განმავლობაში: მოკლულნი—817,560 ავათმყოფობისაგან გარდაცვლილნი—52622; ტყვედ დაკარგული—178,862; უგზოუკვლოდ დაკარგულნი—249,967; მძიმედ დაჭრილნი 478854; დაჭრილნი—288880; მსუბუქად დაჭრილნი—1318834; ბრძოლის ველიდან გასულნი—178439.

სულ კი გერმანეთის ჯარის დანაკლისი 3,500000 კაცს უნდა უდრიდეს, მაგრამ ამ რიცხვიდან უნდა გამოვტოვოთ მსუბუქად დაჭრილნი და დაჭრილთა ნაწილი, ვინაიდგან დაჭრილთაგან, როგორც ვიცით გერმანელები 90—95 პროცენტს სრულიად ჰკურნავენ.

---

ბოლო ხანს გერმანელ წყალქვეშები აღარ ზოგავენ ნორვეგიის სავაჭრო გემებს- რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანელებს ნორვეგიის შემდეგ გემები დაუღუპავთ: „სნესტადი“, 2349 ტონის წყალწყვისა, „დიდო“ „სიში“ „კატინკა“ „სეკერა“. ამას გარდა გერმანელებს თავის ნავთ-სადგურში წაუყვანიათ: „პროფიტი“ „ატლეარლი“.

ამის გამო ამერიკის პრეზიდენტს პროტესტი განუცხადებია გერმანელებისათვის; უკანასკნელნი თავს იმით მართლულობენ, რომ ამ გემებს სხვადასხვა სამხედრო საჭიროების მასალა და სურსათი მიჰქონდათ ინგლისშიო.

---

როგორც ციურიხიდან იტყობინებიან. გენ. ფალკენჰაინი ფეხში დაჭრილა და ამიტომ ჯარის მთავარსარდლობას თავს ანებებს.

---

კურლანდიაში გერმანელებს აუარებელი მოტორიანი მარხილები მოუტანიათ, რათა უფრო გაადვილონ ზარბაზნებისა და ტყვია-წამლის ზიდვა ზამთარში.

---

როცა დობრუჯაში რუსებსა და რუმინელებს კონსტანცა ჩერნოვოდის ხაზთან უკან დაუხევიათ, ბულგარელებს დუნაის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

**ალმოსავლეთის ასპარეზი.** ბზეჟანის სამხრეთით, განსაკუთრებით დ. სვ.სტოლნიკის ალმოსავლეთით მედგარი ბრძოლები გაჩაღდა. უძლიერესი საარტილერიო მომზადების შემდეგ ამ ადგილას გერმანელებმა რუსის ჯარს შეუტიეს და მიუხედავად რუსების თავგამოდებულ წინააღმდეგობისა მიჩიშჩუკის ტყესთან მათ უკან დაახევინეს. ტყიან კარპატებში ავსტრიელები იერიშების მოტანას განაგრძობენ.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.** სომმის ჩრდილოეთით ლევესთან ფრანგებმა კიდევ წინ წაიწიეს. საისანველზე გერმანელების მიერ მიტანილი იერიში ფრანგებმა მოიგერიეს. ვერდენთან სიწყნარეა. ვოგეზებში ალტვირხენთან ფრანგებმა გერმანელთა იერიში მოიგერიეს. ბელგიელთა ბრძოლის პირზე ზარბაზნების სროლაა.

**იტალიის ასპარეზი.** სუგანოსა და ვონჩეს ველზე ავსტრიელთა ზარბაზნებმა მოქმედება განაახლეს.

**რუმინიის ასპარეზი.** ტრანსილვანიის საზღვარზე მდ. სლეტის ველზე ავსტრიელებმა წინ წაიწიეს და სოფ. რაკოვიცე და ტიტეში დაიპყრეს; უკან დახეული რუმინელები ამ სოფლების სამხრეთით მაგრდებიან. დობრუჯაში მზვერავთა მოქმედება სწარმოებს.

**მაკედონიის ასპარეზი.** ცენტრში დოირანთან და ვარდარზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. სერბიელებმა მოწინააღმდეგის კონტრიერიშები მოიგერიეს.

ხიდის უვნებლად ხელში ჩაგდება უცდიათ, მაგრამ მათ ეს ვერ მოუხერხებიათ.

---

ზოგი ფრანგული გაზეთი დობრუჯის ბრძოლების შესახებ იმ აზრის ყოფილა, რომ მაკენზენი აღარ წავა წინ და დაპყრობილ ადგილებზე გამაგრდება. ჰინდენბურგმა თავის მიზანს იმით მიაღწია, რომ რუსები უკან დასწია და მაშასადამე ბალკანეთის ველი ხიფათს გადაარჩინა. ხოლო რაც შეეხება მდ. დუნაის გადალახვას ამას მეტად ძნელად და სახიფათოდ სთვლიან

---

ადესიდან იტყობინებიან, რომ ბუქარესტის დაცლა წესიერად სწარმოებს; ქალაქში პანიკა არ არის, ხოლო ყავახანებსა და თეატრებს ხალხი ნაკლებად ნახულობს.

---

რუმინიის მეფე ფერდინანდს ერთ ფრანგულ გაზეთის თანამშრომელისათვის უთქვამს: „ჩემი ჯარი თამამად იბრძვის, საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, თვით გერმანოფილები ერთ გულად იხდიან თვის მოვალეობას და ეხლა მოკავშირეებზეა დამოკიდებული რამდენად დაგვეხმარებიან ამ გაჭირებულ დროს და როგორ შეასრულებენ თავის დაპირებასაო.

---

მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგების წინ წაწევის გამო ფრანგული გაზეთები სხვათაშორის სწერენ: მოკავშირეებს მთელ დასავლეთის ასპარეზზე რომ ზარბაზნები და ტყვიაწამალი ისე უხვად ჰქონდეთ დაგროვილი როგორც ეს ვერდენთან არის, მაშინ მათი საბოლოო გამარჯვება ყოველ ეჭვს გარეშე იქნებოდა და ღრმად შეიჭრებოდნენ მათი ჯარები გერმანიის მიწაწყალზედაო.

---

რადგანაც ომი დიდ ხარჯებს იწვევს და მთავრობას უჭირს ფულის შოვნა ინგლისში სამხედრო მასალის დამმუშავებელ კერძო ქარხანებს ნაკლებს აძლევენ ეხლა შრომის ფასს.

---

გერმანულ წყალქვეშას ნაღმით ჩაუძირავს ინგლისის ტრანსპორტი „ტრამფელდი.

გაზეთებში უკვე გაისმის ხმა იმის შესახებ ვითომც სრულიად უნდა შესწყდეს გერმანელების მოქმედება საერთოდ რუმინიის წინააღმდეგ.

ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებენ, რომ დუნაის გადასალახავად დიდი ჯარები საჭირო, ხოლო ამოდენა ჯარი მაკენზენს ვითომ არა ყავდეს.

რამდენად სწორეა ეს მოსაზრება—ეს ახლო მომავალში გამოჩნდება, ხოლო ერთი რამის თქმა ეხლავე შეიძლება:

თუ კი მართლა აუცილებელად საჭირო იქნება გერმანელებისათვის დუნაის გადალახვა, ისინი არავითარ ხარჯს არ დაერიდება, რომ ოღონდ იქ მიზანს მიაღწიოს.

ვერდენის ბრძოლებისათვის გერმანიის მთავარსარდლობამ ნახევარი მილიონი ჯარი გაიღო და ნუ თუ დუნაის გადასალახავათ დანაკლისს დაერიდება!? მით უმეტეს, რომ რუმინიის ჯარი გაცილებით სუსტია ფრანგებზე და სტრატეგიულ პირობებზე ხომ ლაპარაკიც მეტია; ვერდენთან პირდაპირი, პირისპირი ბრძოლების გარდა არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა, აქ კი სამანევრო ბრძოლებისათვის გერმანელებს ფართე სარბიელი აქვთ წინ გაშლილი.

თუ ვიფიქრებთ, რომ გერმანელებს მოკავშირეების სხვა ასპარეზებით შეტევის შიში ჰქონდეთ, ეს არ იქნება სწორი შეხედულება.

ჩვენ ვიცით, გერმანელებს იმდენად აქვთ გამაგრებული თავის პოზიციები სხვა ასპარეზებზე, რომ მოკავშირეთა შეტევისაგან თითქმის სრულიად უზრუნველ ყოფილნი არიან.

ბევრგან სცადეს მოკავშირეებმა შეტევა, მაგრამ გერმანელთა თავდაცვის ტეხნიკის უპირატესობის გამოისობით, ან და არ გამოდგა იმდენად ნაყოფიერი ეს შეტევა, რომ ხელი შეეშალა გერმანელებისათვის თვის მიზნის მიღწევაში.

შვერელი

## სამხედრო მიმოხილვა.

მიუხედავად იმასა რომ რუმინიის ასპარეზზე სამხედრო მოქმედება ნამეტნავად შესუსტდა და ბრრძოლები დავნინდა იგი მაინც დიდ ყურადღებას იქცევს; თუმცა ეს ასპარეზი ბრძოლების მხრივ თითქმის არაფრად განირჩევა ეხლა სხვა ასპარეზებისაგან მაგრამ მაინც მთავარი ყურადღების საგნად ის არის.

ეს მხოლოდ იმით აიხსნება რომ რუმინიის სტრატეგიული ფასი ფრიად დიდია რუმინიის გარშემო ისე დაიკვანძა საქმე, რომ მის გამოსარკვევად მართლაც დიდი დაკვირვება და შრომაა საჭირო.

ამიტომ მოსალოდნელია, რომ ისევ განახლდეს აქ ბრძოლები.

უკვე ერთი კვირა შესრულდა, რაც დობრუჯაში სრულიად შესწყდა ბრძოლები, ხოლო ტრანსილვანიის საზღვრებზე კი უფრო ადრე...

## ჩვენ და ისინი.

მხოლოდ ორი სხვადასხვა ხასიათის მოსაზრებით ებრძოდენ საქართველოს

თვით-მართველობას: ერთი იმას გვიმტკიცებდნენ, რომ ჩვენ კულტურულ ეკონომიურად არა ვართ მომწიფებული და

მართვა-გამგეობას ვერ შევსძლებთო. მეორენი ამბობდენ, რომ ქართველ ხალხს არ აქვს ეროვნული შეგნება, მასში არაა ეროვნული მოთხოვნილებები წამოყენებული; მაშასადამე ჩვენის მხრით იმის მოთხოვნა, რაც ხალხს სახეში არ აქვს, დემოკრატიული რწმენის ღალატი იქნებაო.

ნამყო დროში იმიტომ ჩავსვით ეს დებულებები, რომ დღეს უკვე აღარ მეორდება ეგ სასო წარმკვეთი ამბავი. იყო დრო, როდესაც თითოეულს მათგანს ფართე ბაზარი და დიდი გასავალი ჰქონდა ქართველ ინტელიგენციაში. ისეთი ფასი დაედო ჩვენს მოუმზადებლობაზე საუბარს, მოაზროვნე ქართველის ხელში, რომ იგი უცხოელებსაც ორგანიულად გადაეცა და როდესაც მოვითხოვდით ისეთ უბრალო რამეს, —როგორიცაა თუ გნებავთ ერობა, რიხით გვიპასუხებდენ: თქვენ ხომ მოუმზადებელნი ხართ ასეთი დიდი საქმისათვისო. იქნება ჩვენი დარჲაისელნი სხვა რამეს ფიქრობდენ, როდესაც საკუთარ მოუმზადებლობას აღნიშნავდენ, —და ეს ასედაც იყო, --მაგრამ გარეშეებმა სულ სხვანაირათ გაიგეს. აქ სრული ბუნებრივობაა დაცული: საკუთარ „მე“-ზე ცუდი წარმოდგენის ერი, სხვის თვალში შეუდარებელ არარაობათაა მიჩნეული.

მეორე გარემოებამ ხომ სრულიად ამოგვშალა მსოფლიო რუქიდან. ქართველ ხალხს, არავითარი თავისებური, ქართველური ინტერესები არ აბადიაო გვისაბუთებდენ „ქართველი ხალხითა და ნაციონალიზმით“. ცხადია, არა-რაზე არა-რა ითქმოდა და ქართული საკითხიც უნდა დამარხულიყო, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ეს ასე არ მოხდა. გაიმართა პოლიტიკურ ინტელიგენტური ვაჭრობა. ერთის მხრით ხალხზე ფიცულობდენ, მე ნამდვილი ქართველი ვარ, მე საკუთარი ეროვნული ცეცხლი მიღვივის გულში და ნუ მიშლით ხელს ჩემი გულისთქმა საჯაროთ გამოვსთქვაო. მეორე მხარე საკვირველის სითამამითა და გამბედაობით წამოაძახნიდა: ცრუობთ! ქართული საკითხი არ არსებობს; აი მეც ქართველი ვარ, მაგრამ ეროვნულ ინტერესებს ჩემს გულში ერთი ღამეც არ „გაუთევიაო“ ვაჭრობაში გართულთ „მოძრაობამ“ წამოუსწროთ. მთელი რუსეთის სახელმწიფო ატორტმანდა, და საქართველო, როგორც პროვინცია დიდი რუსეთისა, ამ საერთო ტორტმანს ვერ აცდა. ზოგად—სახელმწიფოებრივმა პირობებმა „მოძრაობის“ დროს ქართველი ერის უარმყოფელთათვის შექმნა ფეხ-მოსამაგრებელი ნიადაგი. მომენტის გულისყური, მხოლოდ ერთად-ერთმა წმიდა ეკონომიურმა საკითხმა მოიჯადოვა. ხალხი დიდხანს ვერ გათავისუფლდა ამ ჯადო წრიდან. მივიწყებულ იქნა პოლიტიკური საკითხები და მათ შორის ეროვნულიც, მაგრამ არ იფიქროთ კი თითქოს რუსეთის დანარჩენი პატარა ერებიც ამ გზას დასდგომოდენ. პოლონეთი ამ დროს ავტონომიის პროექტს ამუშავებდა მთელი პოლონელი ხალხის სახელით რუსეთის მთავრობის წინაშე. მხოლოდ ქართველი გლეხები ევედრებოდენ კრიმ გირეისა და რუსის მთავრობას, რომ არ იფიქროთ ჩვენ ეროვნულ მოთხოვნილებებს ვაყენებდეთ, რადგან ჩვენ არაფერს ისეთს არ მოვითხოვთ, რაც ოდნავად მაინც განირჩეოდეს რუსის ხალხის საერთო მოთხოვნილებიდანო.

ყოველივე ეს დამთავრდა დასელთა იდეიური გამარჯვებით და ნაციონალისტური ბანაკის დამარცხებით. ვერც ერთმა ნაციონალურმა ჯგუფმა ვერ მოახერხე ჩვენში, თავისი ეროვნული პროგრამისთვის მასიური ხასიათი მიეცა და და მარცხებასაც სწორედ აქ ვხედავთ.

ნუ თუ მართლაც იმდენად პიროვნულკერძოობითი ღირებულებისაა ეროვნული საკითხი, რომ იგი ერის მთელს შემადგენლობაში ფეხს ვერ მოიკიდებს, და მხოლოდ ორიოდე ინტელიგენტის მამულიშვილური იდეების ბროშიურებს აღარ გასცილდება? თუ ეს ასე არ არის, მაშ რატომ ჩვენი დამარცხებით ჩაიარა ისეთ ხელსაყრელ მომენტმა, როგორიც იყო „განმათავისუფლებელი მოძრაობა“? დროს თუ მივიღებთ სახეში, დასელებზე ბევრად წინ, ილიამ ჩამოაყალიბა ეროვნული პროგრამმა. უფრო მარტივი, უფრო მკაფიო გამოთქმა ეროვნული პრინციპისა ვინემ „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთნოდესო“ შეუძლებელია. ის რაც ამ საგანზე ითქვა ჩვენში ან მასვე იმეორებს, ან და იმაზე ნაკლებს ამბობს, რასაც ილია ამბობდა ჯერ კიდევ სამოციან წლებში. მაგრამ ოცდა ათი წლით დაგვიანებულმა ქართულმა ნილილიზმა მაინც თავისი გაიტანა. რითი აიხსნება ეს? კითხვა რთულია და ჩვენ ამ კითხვის მხოლოდ პსიქოლოგიურ მხარეს გვინდა ვუპასუხოთ.

ვანე

(დასასრული იქნება)

## სიმართლის ხმა.

მრავალ საუკუნოების ისტორიული არსებობა დღეს კვლავ არსებობის საკითხათ გადაგვექცა. ეს საკითხი ეროვნული საკითხია. ჩვენი ერის ერთ საუკეთესო თვისებათაგანი იყო მეგობრული განწყობილება ჰქონოდა ყველა ერებთან. ამიტომ იგი არასოდეს არ აწარმოებდა დაპყრობითი ომებს ტერიტორიის განდიდებისათვის. ამიტომ ქართველი ხალხის ისტორიულ ყოფნის დროს მის ომებს ზნეობრივი საფუძველიც ჰქონდა. მაშინ იგი იცავდა თავის მხარეს, რომ არავის წაერთმია მისთვის წმინდა ციური სუნთქვა თავის ქვეყნისა და მის სხეულს შერჩენოდა სული კეთილ შემოქმედებისა. და ბოლოს, როდესაც ველარ გაუძლო მტრების შემოსევას მანაც გული დაანდო ერთ მორწმუნე უცხო ერს და ძმური მფარველობა და შემწეობა სთხოვა.

ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან თუ პოლიტიკა ზნეობას ჩამოშორებულია, მას არ შეუძლია არ იქნეს სხვა ერის ცხოვრების დამხშობი. პოლიტიკაში გაბატონებული ნაციონალური ეგოიზმი არ ინდობს ერთა შორის სოლიდარობას და სხვა ერების საკუთარ ინტერესებს. ამას გვეუბნება ჩვენ თავშექცეული მათი და მოკიდებულება ჩვენი ერისადმი.

ჩვედა საბედნიეროთ, მიუხედავათ მრავალ მხრივ ჩვენი ერის დაკნინებისა, ისტორიული მდგომარეობის ნაციონალური ხასიათი არ მომკვდარა მასში და, კვლავ მის გულში იშლება ყვავილი თავის ქვეყნის სიყვარულისა.

სიბნელით მოცულ მისი აწმყოდან წარსულ ბრწყინვალე საუკუნეთა სიღრმიდან დღეს იყურება იგი მომავალისაკენ და ოცნებით ეტრფის მის სახეს.

მაგრამ ცოცხალი მისწრაფება ამ ჟამათ ეროვნული თვით არსებობისაკენ მოდუნებულია. მან დაკარგა ცოცხალი ნამდვილი ძალა, გამოეყო მოქმედებას და შესწყვიტა ყოფნა როგორც მოქმედმა არსებამ. წმინდა ეროვნული ცხოვრების შესანარჩუნებლათ კი საჭიროა არა თვალთმაქცობა და ლაქუცობა, არამედ საჭიროა პირდაპირობა. ეს პირდაპირობა კი გვიკარნახებს გაბედულათ აღვიაროთ ერის ზრახვა და მისწრაფება თუ გვინდა მივაღწიოთ კეთილ მდგომარეობას. ჭეშმარიტ კეთილ მდგომარეობას კი შეჰქმნის

რომლის გარეშე ყოველივე ფუჭეა. სანამ არსებობს ეროვნება, მისი ფორმულის შეცვლა მის დაშლას უდრის. კოსმოპოლიტიზმი აწმყოში არ ხორციელდება. აწმყოში არსებობს სხვა და სხვა ერები. თუ რომ ერების არსებობა სინამდვილეა, სინამდვილე უნდა იყოს

ამას მოითხოვს საერთაშორისო სამართალი და მას უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენცა.

გ. ანგაძე.

# ახალი ამბავი.

გუშინ საღამოს ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ. ილ. ჩიქოვანი გაემგზავრა ქ თბილისში, მას მიზნათ აქვს მოელაპარაკოს ამიერ კავკასიის ქალაქთა კავშირის უმთავრეს რწმუნებულს

✦ ქალაქის თვითმართველობა სთხოვს წყალ გაღმა უბნის ბოქაულს სახლის აშენება აუკრძალოს გრიგოლ მაღლაკელიძეს, რადგანაც მას ჯერ ამის უფლება გამგეობისაგან არ ჰქონია.

მთმხ საზ. „რეგულიატორი“ ამ დღეებში მიიღებს შაქარს, ამიტომ აცხადებს, ყველა კოოპერატივების საყურადღებოდ, რომ ვისაც სურს შეიძინოს შაქარი ხსენებულ საზოგადოებისაგან, მან დაუყოვნებლივ უნდა დაიკვეთოს თუ რომელ საზოგადოებას რამდენი უნდა.

✦ სიმინდი „რეგულიატორს“ კიდევ აქვს დარჩენილი 4 ვაგონი, რაჭა-ლეჩხუმის მაზრის კოოპერატივებისათვის, ამის გამო რეგულიატორი აცხადებს ამ მხრის კოოპერატივთა საყურადღებოთ, რომ საჭიროა დაჩქარებით შეიძინონ ეს სიმინდი თორემ მოსალოდნელია სხვადასხვა ხარჯების გამო მისი გაძვირება.

✦ ქალაქში ამ ჟამათ საყოფი პური, არ ცხვება რაც პურის ფქვილის უქონლობას მიეწერება, ქალაქს გამგეობის ცნობით ფქვილი თბილისში ყოფილა შეძენილი 60 ვაგონი ქუთაისისათვის, რომლის მიღებას ყოველდღე ელის გამგეობა.

✦ ხვალ 22 ოქტომბერს, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფენი ამავე სასწავლებლის დარბაზში გამართავენ ლიტერატურულ საღამოს ჩვენი დიდი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად. ამ საღამოზე მხოლოდ იგენს დაუშვებენ, ვისაც წინასწარ მიღებული ბარათი ექნება.

✦ სასურსათო საქმეების მომწესრიგებელმა კომისიამ პირდაპირ მიმოსვლისათვის გაუნაწილა ვაგონები შემდეგ ვაჭრებს: მაქსიმე ბრეგაძეს დ გერასიმე ადეიშვილს ხახვისათვის მიეცა თითო ვაგონი. აბრამ ჩახაშვილს ლობიოსათვის 1 ვაგ. იოსებ გოკიელოვს წუმწუმისთვის, ქაღალდისათვის და თუთუნისათვის მიეცა 3 ვაგონი. ი. ნარსიას მაკარონის და ვერმიშელისათვის 1 ვაგონი. სამსონ ბოკერიას ბაწრისთვის და თუჯის საქონლისათვის 2 ვაგ. ალ. ლონტს შუშეულობის მოსატანათ 2 ვაგ. პლატ. ბოკერიას სხვადასხვა საქონლისათვის 2 ვაგ. ქალაქის გამგეობას ფქვილისათვის 25 ვაგონი. გეორგი ბაზაძეს სიმინდისათვის 4 ვაგ. გერმანე სულაბერიძეს სიმინდისათვის 2 ვაგ. აბაევს 5 ვაგ. აბრამ ჩახვაშვილს 1 ვაგ. მაქსიმე ბრეგაძეს 1 ვაგ. არქიპო ლომიძეს 3 ვაგ. კონს. სვანაძეს 5 ვაგ. ქართოფილის მოსატანათ მიეცა შემდეგ პირთ: ვლადიმერ მარუაშვილს 1 ვაგ. აბრამ ჩახვაშვილს 1, აბაევს 5. მაჭარაძეს 2, ტყეშელაშვილს 1, მაქსიმე ბრეგაძეს 1, ადეიშვილს ღერღილისათვის 2 ვაგ, რაფიელ ელუაშვილს 1, აბრამ ჩახვაშვილს 1 ვაგ.

ადგილობრივი მიმოსვლისათვის. მიეცა ვაგონები მარილის მოსატანათ: გიორგი ბრეგაძეს 2, პლატონ ბოკერიას 2, გოკიელის შვ—ბს 1, ელუაშვილს 5, ღერღილისათვის: მარუაშვილს 5, გეორგი ბაზაძეს 2, ელუაშვილს 3, ნარსიას 1 ვაგ. ზეთისათვის გოკიელს 1, ვაგ. ბამბისათვის. კონ. ბოკერიას სხვადასხვა საქონლისთვის 2 ვაგ. ანტონ კომეტიანს სხვადასხვა საქონლისათვის 2 ვაგ. რაფიელ ელუაშვილს სხვადასხვა საქონლისოვის 2, ნარსიას ნავთისათვის 20 ვაგ. ი: ნარსიას

* * *

ვით მწირთა ლოცვა უდაბნოში წყნარ—გალობადა.—
ისე იწვება გული ჩემი ლექსთა წყობადა...
და საიდუმლოს იმ ლოცვათა ვით შლის ცისკარი,
ყვავილოვან ფიქრს ისე სახავს შორი ზღაპარი;—

ღამით ჩემს თვალებს ხშირად ძილი არ ეკარება,
ვსჭვრეტ თუ მთა-გორებს ლურჯი ნისლი ვით ეპარება...
მთვარის მოწყენით ვით ფითრდება შორით სერები,
და მონასტრებში ვით დნებიან ლოცვად ბერები...

განდგომილ მწირთა დავიწყების ფარავს წამები,
თვრებიან ასე ცისკენ სწრაფვით წმინდა მამები:—
მარტოობაში იხარებენ ღვთქმის ვარსკვლავით,
და მათი ყოფნა იძირება ფიქრთა საფლავით...—

— ასეა ჩემთვისაც მარტოობა შვების მომცემი,
ოდეს სიცოცხლე უკვდავებით ზიარობს ჩემი...
ლამაზ სიტყვათა მჩქეფარებით, მთვრალი ვარ, მთვრალი,
სახე ნათელი და თვალებზეც ცრემლებ შემშრალი...—

ლადო მაჭავარიანი.

მაზუთისათვის 15 ვაგ. ზაქრია დოლიძეს ნავთისათვის და მაზუთისათვის 11 ვაგ. სულ განაწილებულ იქმნა 148 ვაგონი.

— 19 ოქტომბერს ცნობით ქალაქში ხოლერით ავათ გახთომის შემთხვევა არ ყოფილა.

1—ოქტომბრიდან 20 ოქტომ. ქალაქში შემდეგი სხვა და სხვა გადამდებ სენიანი ავათმყოფები ყოფილან: სააფლიანი 16; მომკვდარა 2, ხუნაგიანი 6, მომკვდარა 1, ქუნთრუშიანი 5 და მუცელათი 4.

— გუშინ სანიტარულმა კომისიამ რესტორან „მედვედის“ პატრონს გადადუღებული წყლის უქონლობისათვის დროებით ვაჭრობა აუკრძალა. იმ დროს როდესაც კომისიას ეს გამოუცხადებია პატრონისათვის, იქ მოსადილე პრაპორშჩიკებს ეს შეურაცხყოფად მიუღიათ და გმოსარჩლებიან რესტორანის პატრონს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებიათ სან. ექიმისათვის ექიმს ეს ვაჟბატონები შეურაცხყოფისათვის კამენდანტთან წარუდგენია.

— ძველი ტანისამოსებით ვაჭრობა უდეზინფექციოთ აკრძალულია მაგრამ ამას ბევრი ძველი ტანისამოსით მოვაჭრენი არ ემორჩილება და ძველ ნივთებს დეზინფექციის გაუკეთებლად ჰყიდიან, ამის გამო გუშინ სან. კომისიამ დაათვალიერა ასეთი სავაჭროები და ბევრ მათგანს აუკრძალა ვაჭრობა.

— ახალი მოდის შანტაჟი. ოთხშაბათს 19 ოქტომბერს ვიღაცა პრაპორშჩიკი შესულა მელიტონ აბდალაძის საგალანტერეინო სავაჭროში აურჩევია 105 მანეთის სხვა და სხვა საქონელი და უთქვამს ხაზეინისთვის: „მე სხვა სავაჭროში მაქვს კიდევ საქმე გამაყოლე ნოქარი ფულს დავახურდავებ და გამოვატანო“ ხაზეინიც ასე მოქცეულა. როდესაც მეორე სავაჭროში შესულა პრაპორშჩიკი ნოქრისთვის უთქვამს წადი ის კალოშიც მომიტანე რომელსაც გვევაჭრებოდით ნოქარი წასულა მოსატანათ მაგრამ ამ დროს უსარგებლებია ცუდლუტ პრაპორშჩიკს და უგზო უკვლოდ დაკარგულა. ეს ამბავი ამცნეს ადგილობრივ პოლიციას, რომელიც შეუდგა მის ძიებას.

— ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა ახალი ნიხრი სანოვაგეზე, რომელიც ძალაში ამ თვიდან შევა. ახალი ნიხრის მიხედვით: პური უნდა გაიყიდოს ოყა 2 ხარისხის 28 კ., 3 ხარისხის 24 კ., თორნეში უნდა გაიყიდოს 1 კაპიკით მეტათ. ხორცი ძროხის გირვანქა 30 კ. 2 ხარის. 25 კ., კამეჩის 15 კ., თხის 20 კ., ხბოს 25 კ., ცხვრის 30 კ., ღორის 25 კ., ქონი ღორის 50 კ., კრუპა პერლოვის გირ. 15 კ., მანნის 20 კ., მარილი ფხვნილი ფუთი 1 მ. 20 კ. გირვანქა 4 კ. ბრინჯი აკულის 28 კ. გირ. მაკარონი და ვერმიშელი 21 კ. სამარხო ზეთი მარიალიანი 40 კ. ლობიო ფუთი 3 მ. და 40 კ. გირ. 10 კ., კართოფილი 6 კ., ხახვი 9 კ., კომბოსტო 5 კ. პომიდორი 4 კ. ჭარხალი 5 კ., სტაფილო 6 კ., თავი შაქარი გირ. 21 კ. ფუთი 8 მ. და 30 კ., ფხვნილი ფუთი 6 მ., 70 კ. გირ. 17 კ., საპონი 1 ხარისხის ფუთი 19 მ. გირ. 50 კ., მეორე ხარისხ. 15 მან. 50 კაპ. გირ. 45 კ. წუმწუმა ლაპშინის ქარხნის და სხ. ათი ცალი 50 კ., თითო კოლოფი 6 კ., ხორბალი ფუთი 2 მ. და 20 კ. სიმინდი სამხრეთ კავკასიის ფუთი 1 მ. 30 კ. ადგილობრივი 1 მ. და 50 კაპ. ფქვილი მოტანილი 1 მ. 60 კ. ადგილობრივი 1 მ. 80 კ., ლომი ფ. 4 მან. პურისქვილი რასტოვის ტომარა 5 ფუთი № 4—19 მ. 75 კ. № 5—19 მ. 50 კ. № 6—19 მ. 25 კ. №7 18 მ. 50 კ. ფქვილი ჩრდილო-კავკასიის მეტი ღირს ტომარა 75 კაპიკით. ქერჩის № 3—23 მან. 50 კ. № 3—22 მ. 75 კ. №4—22 მ. 25 კ. №5—21 მ. 75 კ. №5—21 მ. №6—20 მ., თივა ფუთი ყარსის 1 მ. სხვადასხვა ადგილების 90 კ., ბზე 80 კ., ღერღილი 1 მ. 40 კ., ნავთი ბოჭკობით ფუთი 2 მ. 20 კ. ფუთობით 2 მ. 30 კ. გირვანქა 6 კ., მაზუთი ფუთი 90 კ., ელექტრონული ძალა საათში 28 კ., ნახშირი 1 მ.

— ქალაქის გამგეობის დარბაზში 25 ოქტომბერს შესდგება სასურსათო საქმეების მომწესრიგებელ კომისიის კრება, კრებას განსახილველი აქვს ადგ. ვაჭრების სხვადასხვა თხოვნები და საჩივრები.

## სოფლად და ქალაქად.

— ლექძაშეში 7 ოქტომბერს, ვიღაც უცნობმა პირებმა ეგნატე ნარსიას დაუწვეს სამზადი სახლი, ყოველ გვარ საოჯახო ნივთებიანათ. ზარალი 200 მანეთზე მეტია.

# მეგობარს.

შენ რომ დამშორდი, დაღონდა გული, ფრთები შეეკრა ჩემ სიხალისეს,
მოსკდა სახეზე ღიმის ყვავილი, და დუმილების უფსკრულში მიჰფრენს.
ნისლი მეხვევა, ბურუსი შავი, უცხოთა შორის ვარ განაბული,
ვეძებ სულის ტოლს. ვეძებ მეგობარს, რომ უთხრა ძმური მას სიყვარული.
ყველას სახეზე ვკითხულობ რაღაც, შავად დაწერილს სევდის სტრიქონებს,
და მოგონება იმ წყეულ ჟამის გულს მივაადებს და სულს მილონებს...
და ვერვინ ვნახე, ვერვინ ვიპოვე, რომ მოვუწოდო მას: „მეგობარო“
რომ ჩემი კვნესა, ისარ ნაკრავი მასაც ავუხსნა გაუზიარო...

—

შენ იცან მხოლოდ ჩემი სულის ხმა, გულის ქვითინი მკვნესარე, მწარი,
თუ ვის ცეცხლის კვამლს იკიდებს გრძნობა, ან ვისი ტრფობით არის დამწვარი..

**ეფემი ხიდაშვილი.**

— ბორჩალოს მაზრაში, ს. ბარაქიანის სამრევლო მღვდელი კირიაკ შახაბაზოვი მოუკლავს თავის მეუღლეს. როგორც ჩანს ცოლი თურმე ჰყვარობდა სხვას და ერთ ღამეს, როდესაც საყვარელი სახლში ჰყავდა, ამ საყვარლის რევოლვერით მოუკლავს თავისი ქმარი.

— თიანეთის მაზრის ს. ელიაზლაში 200 ქისტი თავს დასხია ბ. მურღვაშვილის ცხვრის ფარას და გაუტაცებია 1600 სული ცხვარი.

— ს. ჩახხათში საქონლის ჭირია გაჩენილი, შველა არსაიდანაა, რის გამოც ჭირი თან და თან ვითარდება და მუსრს ავლებს ოთხფეხთ. საჭიროა დახმარება.

— სუფსაში გაიხსნა უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, მისაღები გამოცდები დაიწყო 20 ოქტომბრიდან.

— ს. გრემში (თელავის მაზრა) ნ. გურასპიშვილს სახლი ქურდებმა გაუტეხეს და წაართვეს 314 მ.

— დაბა ზუგდიდში, 23 ოკტომბერს, ადგილობრივ საკრებულო დარბაზში საქველმოქმედო მიზნით სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება აკაკის ხუთ მოქმედებიანი ისტორიული დრამა: „პატარა კახი“.

— ადგილობრივ სამკითხველოს მოსდის შემდეგი ჟურნალ—გაზეთები: „განათლება“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო გაზეთი“. „ნივა“, „ისკრა“, „ვოკრუგ სვეტა“, „სამშობლო“, „საქართველო“, „სახალხო ფურცელი“, „მეგობარი“, „თანამ. აზრი“ „ზვირთი“ „ზაკ რეჩი“, „რუსკოე სლოვო“ და სხ. დიდი მადლობის ღირსნი, არიან სამკითხველოს გამგენი, რომ კარგათ უვლიან მინდობილ საქმეს.

— როგორც ზუგდიდში ისე ახლომდებარე სოფლებშიაც გაჩენილია საქონლის ჭირი. საჭიროა ამას მიაქციონ ყურადღება.

— შაქარი ზუგდიდში სულ არ მოიპოვება.

## კულტურული ნაბიჯი.

### დაბა ზესტაფონში განძრახულ სამეურნეო სასწავლებლის დაარსების გამო.

არაკით ნათქვამია: რუსის გლეხი პირჯვარს არ გამოისახავს, თუ ძალუმათ არ დაიქუხ-დაიგრუხუნაო. ერთის მხრივ ჩვენც სწორეთ ამ არაკისებური ამბავი გვემართება, როდესაც იმისთანა უხვს და ბუნებით დაჯილდოებულ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი სამშობლოა და სადაც ძველის თქმულების მიხედვით ქრისტე ღმერთს თავისი მადლიანი კალთა აქ დაუბერტყია, მისი მკვიდრნი, თუ მუდმივ არა, ძალიან ხშირათ შიმშილს გაიცდით.

და ეს ხდება სწორეთ იმიტომ, რომ ჩვენ ქართველები თანამედროვე სამეურნეო გაუმჯობესებულ ტეხნიკას კუს ნაბიჯით მივსდევთ და დღემდის მამა პაპათაგან ნაანდერძევი პრიმიტიული იარაღები უკუ არ გვიგდია.

და განა ამის მიზეზი არ არის, რომ ამ ბოლო წლების ზედიზედ ჩვენი ხალხის დამშევამ საშიში სახე მიიღო და სახსარი კი ვერა გამოგვინახავს რა, რომ ხალხი შიმშილისგან ამოწყვეტას გადავარჩინოთ? ხალხის უმეტეს ნაწილს ხელები ზეცისკენ, აღუპყრიათ და განგებას ნამის გარდამოვლინებას ევედრებიან და ის კი ავიწყდებათ, რომ თუ ჩვენის მხრივ ხელი არ გავანძრიეთ და მამა პაპათა ნაანდერძევი ფარცხ-კავებით მიწის ჩიჩქნას თავი არ დავანებეთ, შიმშილი კიდევ ხშირი სტუმარი იქნება ჩვენი და აწი თანდათან უფრო მწვავეც, ვინაიდგან ჩვენი ისედაც ვიწრო და მცირე სახნავ სათესი ადგილები სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, თანდათან უფრო მცირდება, და ისიც ხშირი და უთავბოლოო მუშაობით თანდათან მწირდება, ჰირნახულის ჯეჯილის აღმოსაცენებლათ უვარგისი ხდება.

და სწორედ ამ უხერხულობიდან გამოიყვანს ჩვენ ქვეყანას მხოლოდ ერთი რამ—სამეურნეო ცოდნის ჩვენს ხალხში ფართეთ გავრცელება, რაიცა უნდა მოხდეს სამეურნეო სასწავლებლების დაარსებით.

ჩვენი მეურნეობის რომელი დარგიც უნდა აიღოთ, ყველანი გულმომწყვდელ არა სასურველ მდგომარეობაში იმყოფება, რასაც დროა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ყველამ ვისაც ჩვენი ხალხისათვის გული შესტკივა.

და რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უფრო სასურველია, ვინაიდგან თანამედროვე მსოფლიო ომმა, თავისი საშინელება ქართველ ხალხსაც დაატეხა თავზედ და მისი ეკონომიური მდგომარეობა, როგორც სხვის ხელში შემყურისა, ძალზედ შეარყია. მსოფლიო ომის ქარიშხალმა იმ დროს, მოუსწრო ქართველებს როდესაც საკრედიტო, თუ კოოპერატიული და სამეურნეო ამხანაგობები პირველ საფეხურზედ იყვნენ შემდგარი და წელში გამაგრებას საჭიროებდენ. და ბარაქალა კიდევ შინ დარჩენილ ინტელიგენტთა ჯგუფებს, რომელნიც არ შეუშინდენ სამწუხარო გარემოებას და დიდს ენერგიას იჩენენ ხსენებული დარგების კეთილ წარმატებისათვის.

აი ამისთვის დიდათ სასიხარულოა ისეთი დიდი კულტურული ნაბიჯი, როგორც არის დაბა ზესტაფონში განძრახულ სამეურნეო სასწავლებლის დაარსება. დიდათ სასიამოვნოა ქართველთა დიდ მოამაგეებს, ბ. ბ. ილია წინამძღვრიშვილს და კოტე ამირეჯიბს თანდათან უჩნდებიან მიმბაძველები დასავლეთ საქართველოშიც.

ხსენებულ სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაში მთლად შორაპნის მაზრამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა. აგრეთვე თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ამავე მაზრაში აწ არსებულმა ყველა საკულტურო დაწესებულებებმა და ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რომ ეს სასწავლებელი რაც შეიძლება მალე დაარსდეს და საუკეთესოთ მოეწყოს, რათა შესძლოს მან თავის დანიშნულების გამართლება.

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

## პატარა ფელეტონი.

(უსაქმური კაცის დღიურიდან.)

მოძრაობის შემდეგ რაც გამაჩნდა წამართვეს და დღემდე ქუჩაში დავხეტიალობ; ხან ამ დუქანში ვარ, ხან რკინის გზის სადგურზე, ხან დაბა-სოფლებში და სხვა.

—ერთი სიტყვით სადაც მიღამდება იქ მითენდება და ასეთი უსაქმო კაცი რა თქმა უნდა ბევრი რამის მოწმე გახდება და არც მე დავრჩი უნაწილოდ ეხლა რამდენიმე საქმის გამო მოწმეთ ვარ და სახელებული სასამართლოში, კარგია მოწმობა. ბევრჯელ მოწმე სარგებლობს და მეც არა ერთხელ გამოვბრუჟულვარ.

საბედნიეროდ თუ საუბედუროთ ერთი ჩემი მეგობარი ტრაპიზონში მიბარებს; „აქ ჩამოდი, ფულის შოვნააო? და იქნება ვიშოვნო რაიმე. ჰო და რადგან მე სამსჯავროში საქმის გარჩევას ვერ დავესწრები, ამიტომ გაზეთის საშუალებით წინდაწინ ვაცხადებ, რაც ვნახე და ვიცი:

ქუთაისში ერთ დუქანში შევედი პურის საჭმელად, ციცრის კვერცხის, სისხოვითომ „კატლეთი“ და დლე-ნახევარი ბავშვის ხელის გულის ოდენა პური მომიტანეს; რა თქმა უნდა უკმაყოფილო დავრჩი. შევეკითხე მედუქნეს ღირებულება, თუ ძვირად არ მიანგარიშებდენ, კიდევ მოვითხოვდი. ერთი მანათიაო მითხრა მედუქნემ. გული წამივიდა ექვსი, აბაზი მქონდა, ახლა აბაზი დამრჩა და მშიერიც დავრჩი. ვიფიქრე ერთ ჰიქა ღვინოს დავლევ და იოლად წავალ მომიტანეს ღვინო და თან დასძინეს, „ჩქარა დალიეო.“ მეც გადავკარი და რა გადავკარი. კაცო? ღვინის გარდა ყველაფერი იყო შიგ; ისე დამჭყანა (მაინც არ ვიყავი კარგი შეხედულობის) მაიმუნს დავემგზავსე.

ამ დროს ჩემ წინ პოლიციელი გაჩდა. ნახა მაგიდაზედ ნახევრად წყალ ძმარიანი ჰიქა, სტაცა ხელი ჰიქას, „როგორ თუ თქვენ ღვინოს ყიდით უპატენტოთო“. მედუქნემ ბევრი უფიცა, რომ ერთი წვეთი ღვინო არ ურევიაო, მაგრამ ჰირვეული წესიერების დამცველი არ მოშორდა, სანამ ჯიბეს და ყელს არ ჩაიმასქნა. ალბათ უწყენინებიათ მისთვის, მასაც უჩივლია, რომ მედუქნე უპატენტოთ ღვინოს ყიდის, მოწმედ და დაუსახელებივარ. გაჯავრებულმა სხვა დუქნებშიაც ჩამოვიარე და გარდა თითო ოროლასი პატენტი არა აქვთ. ამასაც დავსძენ, რომ მედუქნეები არ არიან დამნაშავენი, რადგან ისინი ღვინის მე არაყის მაგივრად რაღაც უცნაურ სასმელს ასმევენ ხალხს.

იხი.

## ცოტა რამ აგარაკებზე.

### (ბახმარო და გომის მთა)

ამ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ძლიერ ბევრია ისეთი ადგილები, კურორტები, რომლებსაც ქართველი საზოგადოება სრულებით ვერ იცნობს, და ნაცვლად იმისა, რომ ისეთს აგარაკზე წავიდენ საჰაეროთ, რომელსაც შეუძლია სრულებით განკურნოს მათი სნეულებანი, ხშირად მავნე აგარაკზე მიდიან ასეთს ელემენტალურს ცოდნას მოკლებულია არა მარტო მდაბიო ხალხი, არამედ ინტელიგენციაც—ხშირად ექიმებიც მაგ. სულ ხშირად უთქვამს ოზურგეთელ ექიმებს—მეც კარგად არ ვიცი, ბახმარო ან გომის მთა, რომელ სნეულებიანს უხდება, მაშასადამე ასეთი ექიმიც. მოკლებულია ცოდნას ნამდვილი რჩევა მისცეს ავათმყოფებს რომ უკანასკნელიც განიკურნოს. ამიტომ თუ ფილტვები ცოტა სუსტია აქვს—ბახმაროზე წადი, ეუბნება ეგებ ავათმყოფის ორგანიზმი გომის მთის ჰავს და რომ ეს არ მოხდეს საჭიროა კარგად გაიგონ საგარაკო ადგილების თვისებები და ისე მისცენ რჩევა დარიგება ავათმყოფებს, რითაც ზოგს ააცდენენ ზედმეტ ხარჯს, ხოლო ზოგს კი სიკვდილსაც. ბახმაროს, ცემის სურამის, წაღვერის ბაკურიანის, აბასტუმანის ბორჟომის და სხვა აგარაკების სახელების ხშირად წაიკითხავს მკითხველი გაზეთებში, ხოლო გომის მთის შესახებ ჯერჯერობით კი არაფერი თქმულა, მიუხედავათ იმისა რომ ეს აგარაკი სრულებით არ ჩამოუვარდება სხვა აგარაკებს და ბევრს მათგანს ბევრადაც სჯობია როზუგეთიდან 23—25 ვერსის მანძილზე მდებარეობს ეს მთა, ხოლო შავი ზღვიდან კი 3225 ფუტის სიმაღლეზე ბუნებისაგან ყოველ მხრივ დაჯილდოვებულია ეს გომის მთა. ორის მხრივ ნაძვები არტყია, ხოლო აღმოსავლეთით ვრცელი ტიტველი მინდვრები, დასავლეთით კი დაღმართი ნაძვები და წიფლები, ამ ოთხ კუთხეს შორის აშენებულია და 100—110 ფიცრული სახლები.

## კოლმიკები და ყირგიზები.

მრავალი პატარა ერები მოსახლეობენ ვებერთელა რუსეთის სახელწიფოში. მათი არამც თუ ცხოვრება და ზნე-ჩვეულება არამედ არსებობაც, (თუ არ მ-ვიღებთ მხედველობაში ზოგიერთა მოკლე გეოგრაფიულ ცნობებს), ხშირათ უცხოა ჩვენთვის.

საუბედუროთ ჩვენდა—„ზოგს“ თვისი საკუთარი—ხალხის არა აინტერესებს რა, თორემ სხვისას რას დასდევს!.. მაგრამ თუ დავაკვირდებით, მგონი მეტი არ იქნება მოკლეთ—გავიცნოთ იმ თავისუფალ კოლმიკ (—ყირგიზის ხალხთა ცხოვრება რომლებსაც—ბედმა ჩვენთან ერთად არგუნა ჩამბოდენ საერთა შორისო ომში, და ამით ოდნავ წარმოვიდგინოთ—ის პირველ ყოფილი ველური ხანა, რომელიც [illegible] ველია განიცადეს ვითომ დღეს ცივილიზაციის ფერხულში ჩამბულმა ერებმა.

კოლმიკები და ყირგიზები მოსახლეობენ უმეტესათ აღმოსავლეთ რუსეთით ციმბირისაკენ. მთელ [illegible] ატარებენ ველათ, კარვებში—ანუ როგორც ისინი ეძახიან (გერში) მათი საყვარელი ხელობა მწყესობაა, მეცხვარეობა და მენახირობა. მიწის მუშაობას არ იციან. ადგილის საკუთრება მათში არ არსებობს მთელი მიწა—წყალი, რასაც ისინი ფლობენ საერთოა, მთელი კოლმიკების. ფართე სახის გაწყობილობით და ტანადობით კოლმიკი და ყირგიზი ჩინელს უფრო წააგავს. თმა სოფლის მედავითნესავით გაშვებული აქვთ, იპარსვენ მხოლოდ წინაქოჩორს. დაბალი სავსე ტანადობა—ფართე მხარ-ბეჭი, და მაგარი ჯანმრთელობა, ნამდვილი დამამტკიცებელია, რომ ისინი მარჯვე, ველათ ხიცხე სიცივეში გამოწრთობილი ხალხია. ხედავ სუსხიან ყინვაში გულღია ნახევრათ ტიტველი კოლმიკი შემჯდარია ცხენზედ—და მოჰქენობს! თვითეულისათვის ცხენი, როგორც მეგრელისათვის, საყვარელი საგანს შეადგენს. საქონელსაც კი ცხენზედ შემჯდარი მწყესავენ. კარგ ცხენოსანს და ქურდს დიდი სახელი აქვს („სენ—ზალუ“) ნათქვამია კოლმიკისთანა და ყირგიზისთანა ცხენოსანი ძვირათ თუ სადმე მოიპოვებაო. ძველი დროინდელი, გაშვებული დანაოჭებული ტანისამოსი ცოტა არ იყოს გმირობის სახეს უკარგავს მათ. ძნელათ გაარჩევ ქალს და კაცს ტანისამოსი ერთნაირი აქვთ და პირზედაც წვერ ულვაში არ ამოსდით. ცხოვრებენ მეტათ ბინძურათ. ცხოველი თუ მკვდარი არ ნახეს თვითონ ცოდვათ მიაჩნიათ დაჰკლან და სჭამონ!..

კოლმიკების რამდენიმე სოფელი (ხუტუნი) შეადგენს საზოგადოებას (ულუსს) და ჰყავს თავისი მართველი, რომელიც ექვემდებარება კოლმიკთა ხალხის მზრუნველს. არავითარ სახელმწიფო ხარჯებს ისინი არ იხდიან. რამდენათ მსუბუქი და მარტივია მათთვის საერო წეს-წყობილება, იმდენათ მძიმეთ—აწევთ სასულიერო კოლმიკები სარწმუნოებით კერპთ—თაყვანის მცემლებია; ყირგიზები კი მაჰმადიანები. თითქმის ყოველ კოლმიკის ოჯახშია მღვდელი, (გილიუნი), რომლებიც უზრუნველათ ცხოვრებენ მათ—კისერზედ. კოლმიკს რომ ვაჟიშვილები დაებადება, უფროს უფროსობას აკისრებს, საშვალს—ქურდობას და უმცროსს კი მღვდლობას ათი წლიდან უკანასკნელი- ვარჯიშობს უფროს გილიუნებთან, სამლოცველოში. სამლოცველო სავსეა კერპებით, სადაც შესვლის უფლება, როგორც წმიდათა წმიდათაში, მხოლოდ გილიუნებსა აქვთ. უკანასკნელები საყვირების კვირით და საინების რახუნით რაღაც ლოცვებს გაჰკივიან ისე, რომ ყურთა სმენა აღარ არის სამლოცველოში („ხურულში“-ში) მლოცველებს ზურგზედ ფუთი ან ორი ფუთი სიმძიმე აუკიდიათ და ისე უარენ გარშემო სამლოცველოს შიგნი შესვლის უფლება არა აქვთ! წელიწადში მხოლოდ ორი დიდი დღესასწაული აქვთ: დარკე-ხურხული და ლამა მარხვა არ იციან გარდა დარკე ხურულის წინა დღისა.

ძალიან ძნელია მათი წლოვანების გაგება-მეტრიკული საბუთები არ არსებობს. ნათლობა სრულიათ არ იციან: პირველი, ვინც შევა მათ ოჯახში ის არქმევს ბავშვს სახელს. რომ დაიბადება ბავშვი ის მაშინ ერთი წლისაა შემდეგ წელიწადში ცამეტ[illegible]თვეს ანგარიშობენ. ჯვარის წერის მსგავსი წესი არ არსებობს. ვინც მოეწონებათ ძმა—ბიჭების დახმარებით—იტაცებენ. ვითომ აქა-იქ არის—შერთვა—თანხმობით, მაგრამ აქაც მათ არავითარი—პირობები არ აკავებთ; მამა კაცს ყოველ დროს შეუძლია გაუშვას ცოლი და სხვა მოიყვანოს. სიკვდილის შემდეგ მიცვალებულს ხვევენ ტილოში და ხრამში აგდებენ ან სწვავენ და ფერფლს ქარს ატანენ; შეიძლება მიწაშიც დაფლან ნახევარ არშინზედ, ეს იმის მიხედვით თუ გელიუნები რას ამოიკითხავენ წიგნში. ზოგს დ[illegible]ვა ამოუვა, ზოგს გადაგდება ან დამარხვა! მთელი მოძრავი ქონება, მეათედის გარდა, სიკვდილის შემდეგ გადადის გელიუნების საკუთრებათ, საწირავს სახით!...

— ოჯახი კი რჩება უმწო მდგომარეობაში. ეს მრავალი მუქთა მჭამელი გილიუნები ექვემდებარებიან მღვდელ მთავრებს „ბაკშებს“.

უმაღლესი ყოვლად სასულიერო მთავარი, რომელსაც მთელი კალმიკობა ღვთის სახელს „ბურხანს“ უწოდებს, ერთია. იგი პეტროგრადიდან წელიწადში შეიძლება ერთხელ ჩამობძანდეს თავის სამწყსოში გაგებისათანავე მიმ წყდება მთელი ქალი და კაცი თავის გილიუნებით და ბავშვებით. მიდიან სამი ოთხი დღის სავალზედ, ვითომ, ღვთის სანახავათ: შეიკრიბება მთელი კალმიკობა; უფროსი ბავშვ მიდის და თავს უკრავს მოწიწებით. ბურხანი მას თავზედ ელს დაუსვებს და მიდის. დანარჩენი სამღვდელოება და ხალხი, თავზედ ხელ გადასვებულ ბავშვს ეხება, რომ თვითონაც განიწმინდონ ცოდვებისაგან.

ხალხი მეტათ ბნელია. ჯარში მათ— დღემდი არ იწვევდენ, მაგრამ დღეს, როგორც ვხედავთ, ყუმბარების ქუხილმა ველურებიც კი გამოაღვიძა და მოუწოდა საომრათ. როცა შემთხვევა მქონდა მათ ჯარში გამოსაწვევათ მონაწილეობა მიმეღო, სანუგეშებლათ მათ თარჯიმანის პირით გადავეცი: „რომ თქვენ საჭირონი ხართ მხოლოდ სამუშაოთ მეთქი. მათ შეურაცხყოფათ მიიღეს და აყაყანდენ „ევჯენ-გერმანცოკი“ „წავიდეთ გერმანიის საჩხუბროთ: რას ქვია მუშაობა; ჩვენ ლაჩრები კი არ ვართ. თუ სხვებს შეუძლია რამის გაკეთება, მათ არც ჩვენ ჩამოვრჩებით, ჩვენც გვინდა ვიბრძოლოთ და რაიმე სახელი და დიდება დავიმსახუროთ ერთა შორის“.

ყველანი—მოწოდებისათანავე გამოცხადნენ. თუმცა, შესაძლებელია მათგან საუკეთესო ცხენოსანი—ჯარი შესდგეს, მაგრამ მთავრობას განზრახვა აქვს, როგორც ბნელ, ენის გაუგებელ ლაღ ხალხს, მუშაობა—დააკისროს.

იოდაა.

## პროვინციის ცხოვრება.

სოფ. კაცხი (შორაპნის მაზრა). ამ საზოგადოებაში სხვა საზოგადოებიდგან ხანგამოშვებით გადმოდიან ყაჩაღები.

ამას წინად სამი შეარაღებული ყაჩაღი მოვიდა შუადღისას და დაუწყეს ძებნა ადგილობრივ ვაჭარს მიხეილ ჩიხლაძეს. ის ვერ იპოვეს, წაღებით არაფერი წაუღიათ. ამის გამო საზ. ეწვია. ბ. ბოქაული ალხაზაშვილი და აიძულა საზოგადოება დაედგინა განაჩენი ორი დარაჯის დაქირავების შესახებ, თვითეული 400 მანეთად წელიწადში, ორიც ხაზინის ხარჯით დანიშნეს.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შემავიწროვებელია ეს გარემოება ისედაც წელში გატეხილი ხალხისათვის.

— ოსმალების დატოვებულ ადგილებში სამუშევრად წასულნი ხელცარიელნი და დაავადმყოფებულნი ბრუნდებიან შინ. იქიდან ჩამოტანილმა გადამდებმა სენმა რამოდენიმე პირი უკვე იმსხვერპლა. ავადმყოფობის ნიშნები ხოლერის მსგავსი იყო, რამაც ხალხი დიდათ დააფრთხო (ჩვენდა საბედნიეროდ ხოლერა არ აღმოჩნდა, ექიმმა საოფლედ შეამოწმა). მიცვალებულები დაუმარხავი რჩებოდნენ, ახლოს არავინ ეკარებოდა—მაგრამ ადგილობრივ მონასტრის წინამძღვარმა იგუმენმა ლავრენტიმ დიდის გაჭირვებით დაასამარა რამოდენიმე მიცვალებული.

— როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გავიგეთ, გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ადგილობრივ გაიხსნას წიგნთ საცავ-სამკითხველო ქოლა ლომთათიძის სახელზე.

— ქირნახული უკვე შეინახეს. მოსავალი ნაკლებია.

— ადგილობრივმა კოოპერატივმა ამას წინად მიიღო სამი ვაგონი სიმინდი. ჯერ გაიყიდა მხოლოდ ერთი ვაგონი.

— ადგილობრივ სასწავლებლებში მეორე რაიონის ინსპექტორმა ბ. მუხინმა ამ დღეებში მოახდინა რევიზია.

ბ. ბ.

## რუსეთი.

სპეკულაციისათვის დაუპატიმრებიათ შაქრის მსხვილი მწარმოებელნი დობრი, ცეხანოვსკი, დავიდოვი ბაბუშკინი, ლუკიანოვი და გეპნერი.

—

შრომის ჯგუფს სათაბიროში შეკითხვა შეაქვს მუშათა ორგანიზაციების დევნის შესახებ.

—

გენერალ რუზსკიმ ექიმ კოსტავას უმაღლესი კურსების მსმენელი ქალის მკვლელობის გამო მისჯილი სიკვდილით დასჯა 12 წლის კატარღით შეუცვალა.

—

პროგრესული ბლოკი წინააღმდეგი ყოფილა, რომ სასურსათო საქმე მიწათ მოქმედების სამინისტროს ჩამოერთვას და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცეს.

—

განზრახულ ახალ სამხედრო სესხის განაღდებაში მთავრობას ბანკებმა დიდი დახმარება აღუთქვეს.

პეტროგრადის ბანკებს ხაზინისათვის განუცხადებიათ, რომ იმათ 1 მილიარდის და 200 მილიონი მანეთის განაღდება შეუძლიათ, ხოლო მოსკოვის ბანკებს 600 ათასი მანეთის განაღდება უკისრიათ.

—

რამდენიმე მინისტრს არა სჯერა, რომ სათათბიროსა და მთავრობის მუშაობა დღევანდელ პირობებში შეთანხმებით სწარმოებდეს.

—

შტიურმერს მინისტრებისათვის უბრძანებია, რომ დააჩქარონ იმ პროექტების ცხოვრებაში გაყვანა, რომლებიც მე-87 მუხლის ძალით უნდა განხორციელდეს. ამ ზომას იმით ასაბუთებს, რომ მალე სათათბიროს მოიწვევენ და მაშინ იმ პროექტებს სათათბირო განიხილავს.

## უცხოეთი.

რეიტერის სააგენტოს გაუგია ინგლისის სარწმუნო წყაროებიდან, რომ ის ხმები, ვითომც მოკავშირეთა სიმპატია ვენიზელოსის მოძრაობისადმი შემცირებულიყოს, სიმართლეს მოკლებულია. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია მოწინაღმდეგეთა ინტრიგებით; როგორც უკვე იყო ცნობა, ამ უკანასკნელთა სოლიდარობა უკეთეს პირობებშია ამ ბოლო ხანებში. პირიქით იმ გარანტიებით, რომელიც მოპოებული აქვს საბერძნეთს, ათინის ცნობით უფრო ნათელ ჰყოფს იმ ფაქტს, რომ არც თვით მოკავშირენი და არც ვენიზელოსი არ ხელმძღვანელობენ ანტიდინასტიური პოლიტიკით და არც აქვთ მათ მიზნათ დასახული, რომ ნეიტრალიტეტის დარღვევა აქვთ მიზნად დასახული პირიქით ისინი ხელს შეუწყობენ მოკავშირეთა უზრუნველყოფას. მეორე მხრივ კი ვენიზელოს, როგორც პატრიოტს, სურვილი აქვს ააყვავოს თავის სამშობლო და მიზნათ აქვს მეფესთან ერთად საბერძნეთის მდგომარეობის გაუმჯობესება.

(პ. დ. ს.)

—

გერმანული გაზეთების ცნობით გერმანია ნორვეგიის დამოკიდებულება ისე გამწვავებულა, რომ შესაძლებლად სთვლიან საბოლოოდ გასწყვიტონ მათ ერთმანეთთან ურთიერთობა.

—

გერმანული წყალქვეშები ნორვეგიის სანაპიროებს სდარაჯობენ და ნორვეგიიდან მომავალ გემებს ყველას სჩხრეკენ.

—

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან. რომ ლიბკნეხტის განთავისუფლების წინადადებას დიდი აურზაური და შეხლაშემოხლა გამოუწვევია რეიხსტაგში და უმრავლესობა წინააღმდეგი ყოფილა ლიბკნეხტის გამოშვებისა.

—

მთავრობამ მიიღო და უკვე დაამტკიცა გერმანელთა პარტიის ლიდერის კერბერის სამინისტრო კაბინეტი. ამ კაბინეტში ძველ მინისტრებისაგან თითქმის არავინ შედის.

## ღია ბარათი

**ქუთათურ ასოთ-ამწყობთა ერთ ჯგუფს.**

წელიწად-ნახევარი გადის მას შემდეგ, რაც მე და ზოგიერთი ჩემი ამხანაგები ჩამოშორებული ვართ ერთმანეთს და ამით მოკლებული ვართ ერთმანეთისადმი თანაგრძნობას. ასეთი ჩემი ჩამოშორება შემდეგმა მდგომარეობამ გამოიწვია:

1915 წელს ქუთაისის ასოთ-ამწყობთა ერთმა ჯგუფმა ნებით თუ უნებლიეთ შეცდომა დაუშვა და წინ აღუდგა ქუთაისის ყოველდღიურ გაზ. „სამშობლოზე“ მომუშავეთა ერთ ჯგუფს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზთა გამო უკმაყოფილება ჰქონდათ რედაქციასთან. ამან გამოიწვია დანარჩენ ამხანაგებში (როგორც პროფესიონალურ, ისე გარეშე ადგილობრივ ამხანაგებში) უკმაყოფილება და ამ უკმაყოფილების შემდეგ ქუთათურ ასოთ-ამწყობთა ერთი ჯგუფი ჩამოშორებულ იქნა ყოველგვარ კულტურულს და საერთო საქმეს.

თუ როგორ მოხდა ეს ინციდენტი ეს უკვე ყველა ამხანაგებმა კარგათ უწყიან და ამისთვის კომენტარიები და განმარტებები ჩემს აზრით ზედმეტათ მიმაჩნია.

მოკლეთ, რომ ვსთქვათ ქ. ქუთაისის ასოთ-ამწყობები გაიყვნენ ორ ბანაკათ: მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მე მომხდარ ინციდენტის გამო ჩამოშორებული ვიყავი იმ ჯგუფისაგან, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. თორემ რწმენით და მიმართულებით არასდროს არ ჩამოშორებივარ მათ.

და თუ შეცდომა დაუშვი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ [illegible] ყოველივე აწმყო და მომავალი. მათ მოქმედებასა და ამხანაგურ მუშაობას თანაგრძნობით ვეპყრობი და ყოველ მათ სასურველ მოქმედებას შესაფერისად ვაფასებდი.

ეს ერთი თვეა, რაც ჩვენი პროფესიის ამხანაგებმა ჭეროვანი ყურადღება მიაქციეს პროფესიონალურ კავშირის დაარსებას და პრესის საშუალებითაც გამოსთქვეს თავიანთი აზრი. ასეთმა გამოსვლამ მეც აღმაფრთოვანა და სურვილი აღმიძრა პროფესიონალურ საკითხის გარკვევა-გაშუქებაში და მის დაარსებაზე. პროფესიონალური კავშირი, ეს ჩვენთვის ისეთ საჭიროებას შეადგენს, როგორც თევზისათვის წყალი.*) ამისათვის, მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს თანაგრძნობა გამოუცხადო და ამხანაგური სალამით მივმართო მათ მიერ ასეთი სიმპატიური საკითხის წამოყენებისათვის.

თუ რამე შეცდომა მომივიდა ამ შემთხვევაში **ბოდიშს ვიხდი** მათთან და ვიმედოვნებ, რომ ამ ჩემს ღია ბარათს თანაგრძნობით შეხვდებიან და ხელი-ხელ ჩაკიდებული მეც მათთან შეერთებით ვიმოქმედებ ჩვენი პროფესიის საკეთილდღეოთ.

ას.-ამწ. პ. მ—ძე.

—

P. S. ასეთი შინაარსის წერილი ამ ერთი კვირის წინეთ გავგზავნე გაზ. „თან. აზრში“ და არ ვიცი რა ბედი ეწვია, ან რა მოსაზრებით არ დაიბეჭდეს. ახლა ვსთხოვ პატივცემულ „თან. აზრის“ რედაქციას გადაბეჭდოს ეს წერილი.

ას.-ამწ. პ. მ—ძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

„სამშობლოს“ მე-452 № შიდ მოთავსებულია სკორესპონდენციო წერილი ს. საქარიდან ვინმე გ. საქარელისა. არ ვიცი რა მიზანი აქვს ბ-ნს საქარელს: ჩემი პიროვნებისა და მოღვაწეობის შეურაცხყოფა თუ გაზეთის სვეტის ამოვსება ყურადღებით გაზეთი.

ბ. გ. საქარელი თავის სკორესპონდენციო წერილშიდ ჯერ ვითომც ნატაცის მიკითხავს თუ როგორ უნდა მოიქცეოდეს ქართველი ინტელიგენტი დღევანდელ ცხოვრების პირობებშიდ და შემდეგ აღნიშნავს ერთს მაგალითს ვითომდაც ჩემი ცხოვრებიდან, სახელდობრ: ვითომც მე მიწვეულ ვყოფილიყავ საქარაშიდ ავადმყოფთან და როდესაც „აიღო საცოდავმა ქალმა 5 მანეთი მიართვა ექიმს“ ე. ი. მე — „ბ ნი მაჩავარიანი ძლიერ განრისხდა, იგი აღელვებული და უკმაყოფილო წარმოვიდა მისთვის რომ, მისი აზრით, დირებული გასამრჯელო ვერ აიღო“.

რაც შეეხება ნატაცეებისა უნდა მოვახსენო ბ-ნს საქარელს, რომ კორესპონდენტის ზნეობრივის დაუსრვა საშუალებას არ მაძლევს დარწმუნებული ვიყო ნატაცეების კითხვისათვის მის შესაფერის ზნეობაში, მხოლოდ ეს კი ნამდვილად ვიცი, არც ერთ კაცს არ ეპატიება ცილის წამება და არც საქვეყნოდ ისეთი რაიმეს გამოტანა, რომლის სინამდვილეში თვით არ არის დარწმუნებული, სკორესპონდენციო წერილში მოყვანილის ფაქტის შესახებ უნდა მოგახსენოთ: მხოლოდ სკორესპონდენციო ფანტაზია არის ან-და ცუდად გადმოცემული ამბავი. მე გადაჭრით ვაცხადებ, ამ ორი თვის განმავლობაში სრულიად არ ვყოფილვარ ს. საქარას ავადმყოფთან მიწვეული გარდა ერთის ოჯახისა, სადაც უსასყიდლოთ დავიარები ავადმყოფთან. არც ჩემს ცხოვრებაში მქონია ისეთი შემთხვევა რომ მომწოდებული ჰონორარი დამეწუნებინოს ამიტომ განრისხებული და აღელვებული ვყოფილიყავ.

ნებას ვაძლევ თავს გაზეთ „სამშობლოს“ საშუალებით მივმართო ბ. გ. საქარელს კატეგორიული მოთხოვნით: ამ წერილის დასტამბვის შემდეგ შვიდის დღის განმავლობაში და მისახელოს როდის და ვის ოჯახში ჩავიდინე ასეთი, მართლაც შეუფერებელი მოქცევა.

თუ განიცდიან ბ-ნი საქარელი არ ისურვებს ჩემის მოთხოვნის შესრულებას იძულებული ვიქნები მივმართო ისეთ საშუალებას, რომ სათანადო დაწესებულებაში თავი გამართლებინოს საცილისმწამებლო და შეურაცხმყოფელ კორესპონდენციის ავტორს.*)

ექიმი დ. მაჩავარიანი.

*) ჩვენ, რომ მაშინ პროფესიონალური კავშირი გვქონოდა თავისთავად ცხადია ასეთი ინციდენტიც არ მოხდებოდა ჩვენ შორის.

პ. მ.

## ანგარიში.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზ. „სამშობლოში“ მადლობა გამოუცხადოთ კალისტრატე ნიჟარაძეს, რომელმაც მიაგროვა ზემო მაღლაკის წიგნ საცავ-სამკითხველოსთვის ფულად 8 მ. 75 კ. წიგნები ღირებული 14 მ. 5 კ. მასთან დიდს მადლობას ვწირავთ შემომწირველ პირებს სამკითხველოს გამგეობის წევრნი

წიგნები შემოგვწირა: ვასილ კორძაძემ, მარუსია გალუსტოვმა, კონსტანტინე ოცხელმა, ელენე გამიზარდაშვილმა, ანნა რუხაძემ, თომა აბრამის ძე მთავრიშვილმა, დიუდმილა წიქორიძემ.

ნინო ბესარიონის ასულმა ცომაიამ გამოგვიწერა გაზეთი „საქართველო“ ექვსი თვით

ფულად შემოგვწირეს: სამ სამი მანეთი: გრიგოლ შუკოვსკიმ, ალექსანდრე ტუემელაშვილმა, ევსევი ნიჟარაძემ.

თითო მანეთი: კალისტრატე ნიჟარაძემ, იოანე ჭურიამ, მიხეილ სოხაძემ, ოლია ნიჟარაძემ, აბესალომ ჭეიშვილმა მიხეილ ნიჟარაძემ, პრაპორჩიკმა მჟავანაძემ, დიზა ყიფიანმა.

ათი შაური: პლატონ გიორგაძემ, ერმილე ბეჟუაშვილმა შალვა გორდანაშვილმა გერასიმე თვალაძემ.

ხუთხუთი შაური: ოლია ანდრიაძემ, მარუსიამ ხადულმა, და ნესტორ მარგველაშვილმა.

სულ 19 მან. და [illegible]

[illegible]

*) ვწუხვართ, თუ ბ-ნმა საქარელმა შეცდომაში შეგვიყვანა.

რედ

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**



**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს — | 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის — | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 5 ს. 18 | „ |

## სუსუნაკი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნაკის** წამლით პირველ ხარისხოვანი **„გონოზანით“** ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნაკს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნაკის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია:** თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უბარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი,** თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მექავოის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3

## ავათმყოფნი სუსუნაკით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნაკისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნაკის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნაკისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავადმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნაკისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სიმსადე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)